№ 169

სამშაბათი, 10 აგვისტო, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 169

სამშაბათი, 10 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ტფილისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მომავალს 1899—1900 სამოსწავლო წელს განმეორებითი ეგზამენები და დამატებითი ეგზამენები დანიშნულია 17 და 18 **აგვისტოსათვის, ხოლო იმათი გამოცდა, ვინც სასწავლებელში აპირობს შესვლას, მოხდება 19, 20 და 21 აგვისტოს.** (5—6.—3)

ქალების

**პროგიმნაზია**

ელენე ბახტაძისა

**დ. ხონში**

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ და აგრეთვე წელს გახსნილ პირველ პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 28 აგვისტოდამ და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოიგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მან. წლიწადში. (5—123—1)

**ქ. ქუთაისში**

(პუშკინის ქუჩაზე, ჰყონიას სახლში) პირველ სექტემბრიდგან დაარსდება **ქალების ოთხ-კლასიანი სასწავლებელი**

პროგიმნაზიის კურსით. მდგომარე წელს გაიხსნება ორი მოსამზადებელი განყოფილება და პირველი პროგიმნაზიული კლასი. გადასახადი თითო მოსწავლეზე წელიწადში ორმოცი მანეთია.

საჭირო ცნობების მისაღებად მსურველთ უნდა მიჰმართონ ლიდია გრიგოლის ასულს ანჯაფარიძეს ან მარიამ იოსების ასულს ყაუხჩიშვილს. (5—6.—1)

კვირას, 22 აგვისტოს, დილის 10 საათზედ, მადათოვის კუნძულზედ მუხრან-ბატონის შენობაში დანიშნულია საზოგადო საგანგებო კრება

**„შრომის“**

ხელოსანთა ამხანაგობისა.

საგანი კრებისა არის:

1, განხილვა და დამტკიცება წლიურის ანგარიშებისა.

2, არჩევნები გამგეობის წევრებისა და ზედამხედველ კომიტეტისა.

3) სახელოსნოს გაფართოება.

წევრთ ცალკე მოწვევის ბარათი არ გაეგზავნებათ. (3—120—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ბ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

**მთავრობის განკარგულებანი.**

დანიშნულ იქმნა უფროსის გამავჯანლის თანამდ. აღმასრულებელი კოლლეჟსკი რეგისტრ. ზედგინიძე კავკასიის სახაზინო ქონებათა ცნობაში მომყვან და აღმწერ ტოპოგრაფის თანამდებობის აღმასრულებლად.

## ახალი ამბავი

*** 24 სექტემბერს 20 წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ქართული დრამატიული დასი არსებობს; ქართულ დრამატიულ საზოგადოებას განზრახვა აქვს სახსოვარ-ჰყოს ე დღე საიუბილეო წარმოდგენის გამართვით.

*** ტფილისის გუბერნატორი პოლკ. ი. ნ. სვეჩინი 7 აგვისტოს ტფილისიდგან თიონეთისა, დუშეთისა და ტფილისის გუბერნიის სხვა მაზრებში გაემგზავრა.

*** საგუბერნიო მკურნალი ბ-ნი ქიქოძე სამსახურის გამო დუშეთსა და თიონეთის მაზრებში გაემგზავრა.

*** 30 ივლისს ქ. გორში მოხდა ქალაქის რწმუნებულთა და მათ კანდიდატთა არჩევნები მომავალ ოთხის წლისათვის. რწმუნებულებად არჩეულ იქმნენ: გ. რ. რომანოვი, მ. თ. ხუდადოვი, გ. ბ. დავითაშვილი, პ. დ. ხუდადოვი, ს. ზ. ლამბარაშვილი, რ. ა. ჯულაბაშვილი, ჩ. რ. მოსტოვიჩი, თავ. მ. რ. ერისთავი, ი. ე. სააკოვი, გ. დ. ლომიძე, ა. ი. ანდრონიკაშვილი, ა. ს. გარსევანაშვილი, ვ. ა. საბო, გ. ლ. ხიმშიაშვილი და დ. ი. დეკანოზიშვილი; მათ კანდიდატებად: ა. ი. როსტევანოვი, ა. გ. ჩარუევი და ა. ი. კალანდაძე. არჩეულთა სია გორის მამასახლისმა დასამტკიცებლად წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ახალციხისა, ახალქალაქისა, გორისა, დუშეთისა, სიღნაღისა, თელავისა, და აგრეთვე კოჯორის მამასახლისებს: აუცილებლად ნოემბერში შეიტანეთ ხოლმე ქალაქის საბჭოში განსახილველად ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვანი, ხოლო მე-კი ეს ხარჯთ-აღრიცხვა წარმომიდგინეთ ხოლმე არა უგვიანეს დეკემბრისაო. ამასთან გუბერნატორი აფრთხილებს მამასახლისებს, თუ ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა თავისს დროზედ არ იქმნა წარმოდგენილი, ამის გამო ქალაქის გამგეობის თანამდებობის კაცნი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნიო.

*** ტფილისის სახაზინო პალატამ წინადადება მისცა ტფილისის მოქალაქეთა გამგეობას და ქ. გორისა, სიღნაღისა, თელავისა, დუშეთისა და ახალციხის ქალაქის მამასახლისებს: დაუყოვნებლივ იხმარეთ ყოველივე ღონისძიება აღნიშნულ ქალაქებზედ დარჩენილ საკომლო გარდასახადის შემოსატანადაო.

*** რკინის გზათა მთავარმა სამმართველომ განმარტა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მეორე კლასის ვაგონით უფასოდ მგზავრობის უფლება აქვთ იმ მოსამსახურეთ, რომელთა წლიური ჯამაგირი უდრის 720-დგან 2400 მანეთსაო.

*** მომავალ სამოსწავლო წლიდგან საერო განათლების სამინისტროს ნებართვით მომატებულია სამოსწავლო გარდასახადი 1-ლსა და 2 საქალებო გიმნაზიებში. დაბალ კლასების მოსწავლეთათვის გარდასახადი მომატებულია 60 მანეთამდე, ხოლო დანარჩენ კლასების მოსწავლეთათვის-კი—70 მანეთამდე წელიწადში; 1-ლ გიმნაზიის წერაკითხვის კლასის წლიური გარდასახადი უდრის 40 მანეთს.

*** როგორც გატყობინებენ, ქვემო-მაჩხაანის ახლად დაარსებულ ქსენონს 12 აგვისტოს აკურთხებენ.

*** სასჯულო საქმეთა სამინისტროს მოუთხოვნია კავკასიის ოლქის სასამართლოთა ბრალმდებელთაგან ცნობები კავკასიის სატუსაღოთა დღევანდელ მდგომარეობის შესახებ იმ აზრით, რომ გაუმჯობესებულ იქმნას ამ სატუსაღოებში პატიმართა მდგომარეობა და განსაკუთრებით-კი იმათის წამლობა-მკურნალობისაც.

## ფელეტონი

**ტრაგიკული ღამე.**

ისტორიული მოთხრობა

**ერნესტო დოდესი.**

(დასასრული *)

III

კლარი სასოწარკვეთილებით მისჩერებოდა ქმარს და პასუხს ელოდდა. მაგრამ ამაოდ. ქმარი თითქოს გამოსჯიბრებოდა და ხმას არ იღებდა. თვალები ანთებოდა ბოროტის ცეცხლით და მეტის-მეტ სიანჩხლით მთლად აცახცახებულს სახე საშინლად დაჰპრანჭოდა. გაცოფებული იდგა ისე გაუნძრევლად და მეტის მღელვარებისაგან სიტყვა ვეღარ წარმოეთქვა, კრიჭა შეჰკვროდა.

— რას გაჩუმებულხართ, კლემან? ხმის კანკალით ძლივს დაარღვია სიჩუმე კლარიმ: დავიჯერო არ შეისრულებთ თხოვნას?

კაცმა მხოლოდ ეხლა მოახერხა ხმის ამოღება და გაცხარებით მივარდა ქალს.

— ერთი მიბრძანეთ, რომელის ძალით გაბედეთ მაგ კაცის აქ შემოშვება? განა არ იცოდით, რომ მაგით ჩემი დაღუპვა შეგეძლოთ, რადგან შესაძლოა ეხლა მეც მაგის ამხანაგობა შემომწამონ? ვინ არის ეგ, რომ მაგრე გებრალებათ? იცნობდით როდისმე? მითხარით რაღა, რას გაჩუმებულხართ!

გაცხარებით ეკითხებოდა ქმარი ქალს და ხმაში საშინელი სიანჩხლე დასტყობოდა. კლარი ბარემ ბევრსა ნანობდა ეხლა, რომ ასე მოუფიქრებლად მოიქცა, უამბო ქმარს ყველაფერი და საქმეს არა თუ არ უშველა, არამედ უფრო წაახდინა, მაგრამ რაღას იზამდა. გულმა საშინელის ძალით დაუწყო კვნესა, სინიდისის ქენჯნა აწუხებდა, მაგრამ ქალი მალე გამოერკვა ამ მდგომარეობიდგან. ჰნახა, რომ ტირილითა და ვაი-უშით აქ საქმეს ვეღარ ეშველებოდა-რა და მოინდომა ამ თავისის შეცდომის გასწორება; უნდოდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გადაერჩინა ალბერი იმათის ხელიდგან.

ქალს კვლავ დაუბრუნდა გამბედაობა. თამამად გასწორდა წელში და მიუბრუნდა ქმარს.

— ყოველთ უწინარეს დამშვიდდით. ნუ აჰყვებით გულის თქმას!

— ვინ არის ის კაცი? გაანჩხლებით გააწყვეტინა ქმარმა. გამაგებინეთ ამ საათშივე მისი ვინაობა და ან რა მიზეზით გაჰბედეთ მიგეცათ მისთვის თავშესაფარი, როდესაც კარგად იცოდით, რომ ამით ვნების მოტანა შეგეძლოთ ჩემთვის. ამ საათშივე მითხარით-მეთქი, თორემ გავალ, დავუძახებ იმათ და შევატყობინებ, რომ კაცი, რომელსაც ისინი დაეძებენ, აქ არის.

— სენ-ფრემონია.

— სენ-ფრემონი! და მერე ეგ მიიღეთ სახლში! უბედურო, და მერე არ იცოდით, რომ თავი და თავი დამნაშავე ეგ არის, ჟორჟ კუდადალის მარჯვენა ხელი? მერე და მაგის შველასა მთხოვდით? მაგისას, რომელიც ერთი უპირველესი და დაუძინებელი მტერია პირველის კონსულისა? გეგონათ, რომ თქვენის ხვეწნა-მუდარით მომილბობდით გულს და თქვენს ნებაზედ მატარებდით? არა, არას დროს!..

— ეხლაც დარწმუნებული ვარ ამას,—გააწყვეტინა კლარიმ.

— ტყუილად გიფიქრიათ! დარწმუნდით, რომ ამისთანა მშვენიერს შემთხვევას ხელიდგან არ გაუშვებ, რომ კვლავ ერთხელ კიდევ დავუმტკიცო პირველს კონსულს ჩემი ერთგულება და მისი ნდობა და პატივისცემა უფრო განვამტკიცო. აა! სენ-ფრემონი აქა ყოფილა! ძალიან კარგი,—გახარებული ჟავერენი, რომელსაც გაბრაზება თითქმის აღარეტყობოდა, ლაპარაკობდა ამას და თან თითქოს მეტის სიამოვნებით იფშვნეტდა ხელებს.

კურთხეულ იყოს ის შემთხვევა, რომელმა შემთხვევამაც ეგ ვაჟბატონი აქ შემოიყვანა. საჭიროდ არა ვრაცხ გკითხოთ, სადა გყავთ დამალული. მთლად ციხე-დარბაზის გადმობრუნებაც რომ დამჭირდეს, უკან არ დავიწევ და იმას-კი უეჭველად ვიპოვი.

აღარ გაათავა ლაპარაკი და გაჰქანდა კარებისაკენ. ეშურებოდა შეეტყობინებინა ყველა ეს პოლიციის მინისტრისაგან გამოგზავნილ კაცისთვის, რომელიც ჯერ კიდევ პარკში დაეძებდა დამნაშავეს, მაგრამ კლარი დაედევნა მაშინვე უკან:

— მომითმინეთ ცოტა,—უთხრა ქალმა და ხმაში ვედრება დაეტყო. თუ ერთი ბეწო კაცობრიული გრძნობა კიდევ შეგრჩენიათ, მომისმინეთ. წეღან გინდოდათ შეგეტყოთ მიზეზი რისთვისაც მივეცი სენ ფრემონს თავშესაფარი. კარგი გეტყვით. დარწმუნდით, რომ თუ არ ეგრე, მე სხვანაირად არ შემეძლო მოვქცეულიყავ და კარგად იცოდეთ, რომ მაგის დაღუპვით სამუდამოდ გამიმწარებთ სიცოცხლეს.

ამ სიტყვებზედ კაცი შეჩერდა, შეიკავა თავი და ცივად უპასუხა.

— ყურს გიგდებთ.

— ოდესღაც,—დაიწყო კლარიმ: როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცოდი და არც მეგონა, თუ როდისმე თქვენი ცოლი შევიქმნებოდი, სენ-ფრემონის საცოლე ვიყავ. ჯვრის წერის დღეც მიახლოვდა, რომ მას, რაღაც დანაშაულისთვის, საჩქაროდ უნდა მიეტოვებინა სამშობლო მხარე და სხვა ქვეყანაში გაქცეულიყო. მას შემ ეგ აღარ მინახავს. სწორედ ამისთვის, როცა ის ამ ერთის საათის წინად მევედრებოდა მიმეცა მისთვის თავშესაფარი, დამემალა, იძულებული ვიყავ აღმესრულებინა მისი თხოვნა, მივიღე ის იმ იმედით, რომ რამდენისამე საათის შემდეგ, ამალამვე მივცემდი საშუალებას გაქცეულიყო

*) იხ. „ივერია“ № 168.

*** საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე კლიაჩინი გარდაყვანილია ტფილისის გუბერნიის სამაზრო მკურნალის თანამდებობაზედ.

*** პარიჟიდგან ბურჟუას ფირმამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, დაწვრილებით შეატყობინეთ ტფილისის ცხენის რკინის გზის კონცესიის პირობებიო.

*** საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო, რომ სალეხნიკო სასწავლებელში მიიღებ მოსწავლეთა ხნოვანება არ აღემატებოდეს $17^1/_2$ წელს; ხოლო მეტის ხნის, მაგრამ 18 წელზედ არა უხნესი მოსწავლენი მიიღებოდნენ მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში.

*** ქალაქის მოურავის მოადგილის განკარგულებით, გამგეობის დარბაზში შესვლა აეკრძალათ იმ „აბლაკატებს“, რომელნიც გამგეობის შესავალთან მთხოვნელებს კრიჭაში უდგანან, უხეირო თხოვნებს უწერენ და გასამრჯელოდ მათგან საკმაოდ დიდს ფულს იღებენ.

(„ტფ. ფ.“)

*** გაზ. „ნოვოსტის“ სიტყვით, საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ქუთაისისა, ტფილისისა და შავის ზღვის პირის გუბერნიებში განსაკუთრებული სკოლები, რომელთა დანიშნულება იქმნება განათლების გავრცელება მხოლოდ ადგილობრივ მკვიდრთა შორის. ამ სკოლებში ასწავლიან სასოფლო მეურნეობას, გზების გაყვანისა და აშენების საქმეს და პირუტყვის მოვლა-მოშენებას.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზამ უკვე მიიღო მის მიერ დაბარებული გაუმჯობესებულის სისტემის ორთქლმავალები, რომელნიც საათში ოთხმოცდა-ათ ვერსს დადიან. ეს ორთქლმავალები, ტფილისსა და ევლახს შუა ივლიან („ჩერნ. ვ.“).

*** 3 აგვისტოს ყუბის სამხედრო ოლქის სასამართლომ ჩამორჩობა გარდაუწყვიტა ციმბირიდგან გამოქცეულს ბედან მამედ-ოღლის, რომელსაც ჰბრალდება მთავრობასთან წინააღმდეგობის გაწევა იარაღით ხელში. (ახ. მიმ.“).

*** როგორც ისმის, ქუთაისში შემოდგომისათვის განზრახული დოლი (მარულა) აღარ მოხდება საშუალების უქონლობის გამო.

*** „ჩერნ. ვ.“-ს აუწყებენ, რომ ამ ზაფხულში ქუთაისის სავაჟო გიმნაზიასთან დაარსდა სარეპეტიციო (მოსამზადებელი) კლასები, რომლებშიაც მასწავლებლობენ გიმნაზიის პანსიონის აღმზრდელები.

*** ფოთის საკათედრო ტაძრის ამშენებელ კომიტეტს 100 მან. მიუღია იოანე კრონშტადტელისაგან ამ ტაძრის სასარგებლოდ („კავკ.“).

*** ქუთაისი. წელს, პირველ სექტემბერს, ქუთაისის ქალთა სასწავლებლებს მოემატება კიდევ ერთი სასწავლებელი. მთავრობამ უკვე ნება დართო ორს მასწავლებელ ქალს: ლ. გ. ანჯაფარიძეს და მ. ი. ყაუხჩიშვილს დააარსონ ქუთაისში ქალთა კერძო სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსით. სექტემბერში გაიხსნება მხოლოდ ორი მოსამზადებელი განყოფილება და პროგიმნაზიული პირველი კლასი.

თუ რამდენად საჭირო და სასარგებლოა ამისთანა სასწავლებლის დაარსება ქუთაისში, ამაზედ ლაპარაკის გაგრძელება აქ საჭირო არ არის: ეს დღესავით ცხადია ყველასთვის. ვინც კი ცოტათი მაინც დაჰკვირვებია ჩვენის ქვეყნის მცხოვრებთა წყურვილს სწავლისადმი, იმას არ შეუძლიან სიხარულით არ მიეგებოს ამ კეთილს საქმეს. ქუთაისში მხოლოდ სამი საქალებო სასწავლებელი არსებობს: წმ. ნინოს სასწავლებელი (გიმნაზიის კურსით), ეპარქიალური სასწავლებელი და ქალების უფასო სასწავლებელი. თითოეულ ამ სასწავლებელში იმდენი მოსწავლეა, რომ კლასებში ტევა აღარ არის; მაგრამ ისინი მაინც ვერ აკმაყოფილებენ მსურველთა ნახევარ რიცხვსაც. ამიტომაც ჩვენ დიდის სიამოვნებით ვეგებებით ზემოხსენებულ ქალთა სურვილის განხორციელებას, მით უმეტეს, რომ მათი საფუძვლიანი მომზადება, შრომის სიყვარული და დიდი ხნის გამოცდილება სწავლებაში თავდებია იმისი, რომ სასწავლებელი მათს ხელში კარგს გზაზე დადგება და მით დიდს სამსახურს გაუწევს ქალთა მოზარდ თაობას. მიულოცავთ ამ მხნე და გამბედავ ქალებს ასეთს დიდ საქმის დაწყებას და ვისურვებთ, რომ მათი შრომა და ღვაწლი ნაყოფიერი ყოფილიყოს ჩვენის ღარიბის საზოგადოებისათვის.

---

## წერილი არგვეთიდგან

(შორაპნის მაზრა).

დაბა ჩხარის მცხოვრებლებს დიდის ხნის სურვილი და წადილი შეუსრულდათ. პირველ აგვისტოდგან დაარსდა და გაიხსნა აქ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილება. ამ ფრიად კეთილის საქმის დაგვირგვინება ითავა დაბის წარმომადგენელმა მეთოდე გასილის მე ქათამაძემ. გარდა შრომისა და ხარჯისა, ბ-ნმა ქათამაძემ ზოგიერთი შეუგნებელი კაცებისაგან პირადი უსიამოვნებაც ბევრი მიიღო ამ საქმისათვის, მაგრამ არავითარ დაბრკოლებას არ შეუშინდა და ერთგულად მოჰკიდა საქმეს ხელი. ჩხარის მომრიგებელ სასამართლოს განყოფილების ოფიციალურად გახსნა და სასამართლოს შენობის კურთხევა მოხდა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამა თვის პირველ რიცხვს. ამ დღისათვის ჩხარში მობრძანდა, ბ-ნ ქათამაძის და ადგილობრივ გავლენიანი აზნაურების ბ-ნთ იმხნელების თხოვნით, ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე. საღმრთო ლიტურგიის შესრულების შემდეგ, ბლაღოჩინმა მღვდელმა მამა მ. რიყიაძემ მღვდლის მ. მეფარიძის თანამსახურებით შეასრულა მცირე წყლის კურთხევა. შემდეგ აიაზმის გარდასხმისა და შენობის კურთხევისა, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ დროისა და ჟამის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვაში იგი ურჩევდა ხალხს, რომ ტყუილუბრალო საჩივრებისათვის თავი დაენებებინათ და უკეთეს შემთხვევაში ცდილიყვნენ, რომ ერთმანეთ შორის მორიგებით გათავებინათ ხოლმე დავა და სარჩელი. საღილის დროს მშვენიერი სიტყვა უთხრა ბ-ნ თავმჯდომარეს ხალხის მხრით აზნაურმა ბარნაბ მიზანდარის მე ლოლაძემ.

ბ-ნი ქათამაძე ჩხარისათვის დაუზარლად შრომობს. მან უკვე დაიწყო შუამდგომლობა, რომ დაბა ჩხარში ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა და ფოსტის განყოფილება დაარსდეს. ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ პატიოსან მუშაკს.

ამ გვალვამ მეტის მეტად შეაწუხა ყანები და ვენახები. ქვიანის და ზეგანს ადგილებში წლეულს ერთი ტარო სიმინდიც არ მოვა აქეთ. უწვიმობამ ისე შეაშინა ხალხი, რომ ძველი ჭინახულის ფასმა ერთი სამად აიწია. შარშან და შარშან წინ ბათმანი სიმინდი ამ დროს აბაზი ან ხუთი შაური ფასობდა, წელს-კი ათ შაურად და სამ აბაზად იყიდება. ვენახებს შარშანდელთან შედარებით ძალიან ნაკლებათ ასხია, რაც ასხია არც ის არის შარშანდელისთანა; მტევნები ისე წვრილ მარცვლოვანია: რომ შარშანდელი კიმჩლების ტოლაც არ არის. გვშინიან, არგვეთის სოფლებში წლეულს შიმშილობა არ ჩამოვარდეს.

მ. ბუაჩიძე

---

## რუსეთი

ბეჭდვის საქმეთა მთავარმა სამმართველომ დაუგზავნა ყოველდღიურ დროგამოშვებით გამოცემათა რედაქტორებსა და გამომცემელთ შემდეგის შინაარსის საყოველთაო მოწერილობა:

ბევრი თვალსაჩინო გაუგებრობა და უსიამოვნება, რომელსაც დროგამოშვებითი მწერლობა იწვევს, იმ შეცდომების მიზეზი აღმოჩენილა ხოლმე, რომელიც მომხდარა სტამბაში მუშმივ თანამშრომელთა და სტამბის მუშათა დაღალვისა და სამუშაო დღის მეტის-მეტის ხანგრძლიობის გამო. ხსენებულ შეცდომების თავიდგან ასაშორებლად და ყოველდღიურ გაზეთების რედაქცია-სტამბებში მომუშავეთა მეტისმეტ დაღალვისაგან დასაცველად საჭიროა სათანადო წესების დადგენა. ამ აზრით მიჩნეულ იქმნა სასარგებლოდ: 1) მოსპობილ ანუ შემოკლებულ იქმნას კვირა-უქმე დღეს მუშაობა იმ დაწესებულებებში, სადაც იბეჭდება ყოველდღიური დროგამოშვებითი გამოცემანი, და აგრეთვე მოსპობილ იქმნას გაზეთის ბეჭდვა იმ დღეებში, რომელიც კვირა-უქმე დღეებს მოსდევს; 2) სამუშაო დღის რაოდენობა განსაზღვრულ იქმნას 1897 წ. 2 ივნისს კანონის თანახმად, რომელიც შეეხება სამუშაო დროს და მუშაობის განაწილებას ქარხნებში. საყოველთაო მიწერილობა თავდება იმ თხოვნით, რომ რედაქტორებმა და გამომცემლებმა თავიანთი აზრი გამოსთქვან ამ საგნის შესახებ ერთის თვის განმავლობაში.

— მომავალ წელს პეტერბურგში, გაზეთების სიტყვით, განზრახულია სრულიად რუსეთის ბამბის ქარხნის პატრონთა კრება.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაჩქარებულ იქმნას გარდასახლებულ გლეხთა წაყვან-წამოყვანა რუსეთის რკინის გზებით.

— გაზეთები იუწყებიან, რომ ფინანსთა სამინისტროს შესაძლებლად არ მიაჩნია გადაიდოს ფული შუააზიის რკინის გზის გასაყვანად, ვიდრე ციმბირის რკინის გზა არ დამთავრდებაო.

— სასულიერო უწყებამ საბოლოოდ შეიმუშავა პროექტი იმის შესახებ, რომ ეპარქიებში დაარსებულ იქმნას საეკკლესიო-საარქეოლოგიო კომიტეტები ძველის ნაშთების შესანახად და შესამუშავებლად.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რუსეთის ყველა რკინის გზაზედ დაარსებულ იქმნას თანამდებობა კონდუქტორ-სანიტარისა, ურომლისოდაც არ უნდა გაიგზავნოს არც ერთი სამგზავრო მატარებელი.

---

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** მოგვყავს ზოგიერთი ცნობები საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ დასთა რამდენიმე წევრის დატუსაღების და მათის სახლების

---

და მდევარისათვის დაეღწია თავი. აი ეს არის სიმართლე.

ქალის გულწრფელობამ თითქოს მოულბო ჟავერენს გული.

— კარგი, მაგრამ ამ ექვსის წლის წინად, როცა ცოლად გამომყევით, რატომ არ მითხარით ყველა ეგ?

— რად უნდა გამეგებინებინა? თქვენ თანხმდებოდით მამიჩემის დახსნას იმ პირობით, თუ მე გამოგყვებოდით ცოლად და მეც გამოგყევით. ის კი საჭიროდ არა ვცან მეთქვა თქვენთვის და ამით დამემცირებინა თქვენი თავმოყვარეობა, რომ მე თქვენ არ მიყვარდით და არც როდის შემეყვარებდით, რადგან მე სხვა მიყვარდა, სხვას ვეკუთვნოდი. მსხვერპლად მომქონდა ჩემი თავი და ის კი არა მსურდა შეგეტყოთ, თუ რად მიღირდა ასე მოქცევა.

— მერე ეხლა, ეხლა კიდევ გიყვართ ეგ კაცი, ან იმას იქნება კიდევ უყვარდეთ?

— მგონი, რომ კიდევ უნდა ვუყვარდე, მიუგო გულახდით ქალმა: რაც შეეხება ჩემს გრძნობებს, თქვენ რაო? თუ აქამდის, რაც შემირთეთ, არსად შევხვედრივარ იმას, იმედია, არც შემდეგ შევხვდები სადმე. ახ! კლემან! შეევედრა ქალი: თუ გინდათ, რომ ის დავივიწყო, უშველეთ, დაიხსენით. ოღონდ დაიხსენით და ღმერთს გაძლევთ თავმდებად, დავივიწყო, დავივიწყო მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენ-ღა მახსოვდეთ, თქვენი ბედნიერება-ღა მედგას თვალწინ.

ყმაწვილი ქალი არას დროს არა ყოფილა ასე მშვენიერი, ასე მომხიბლავი. ჟავერენი მოლბა.

მიუახლოვდა ქალს და თითქმის ალერსით ჰკითხა:

— მაშ შემიყვარებთ? მართალს ამბობთ?

ქალმა მშვენიერი თვალები მიაპყრო.

— მე ჩემს დღეში არ მითქვამს ტყუილი. გადაარჩინეთ ალბერი და გეფიცებით, თქვენის ბედნიერების გარდა აღარაზედ ვიზრუნო.

კაცმა მოჰხვია მკლავები და მიიზიდა.

— აი, შე მაცდურო! წასჩურჩულა იმან: რას მიშვრები, რასა მთხოვ?

— მაშ თანახმა ხართ? ჰკითხა ქალმა.

— მეტი რა ღონეა? მიუგო ქმარმა. სამაგიეროდ თქვენს სიყვარულს მპირდებით, რომელზედაც ამდენს ხანს უარს მეუბნებოდით, და განა შემიძლიან-ღა უარი ვთქვა?

ქალი მეტის სიხარულით სულ ათრთოლდა და ცრემლებ-მომდგარი მადლობის ნიშნად გულმხურვალედ მოეხვია ქმარს.

საუბედუროდ, კლარი ამ გატაცებაში ველარას ამჩნევდა ქმარს, რომლის თვალებში, კარგად რომ დაჰკვირვებოდა, ამოიკითხავდა: „ერთი დახე რანაირად ჰყვარებია ის კაციო!“ თუმცა-კი სცდილობდა დაემალა ეს, არ ეგრძნობინებინა ქალისთვის ის, რაც მის გულში ჰხდებოდა.

— სადა გყავთ დამალული? ჰკითხა იმან.

ჩემს ოთახში.

— წადით და ეხლავ აქ მოიყვანეთ.

— აქა! გაიკვირვა ქალმა: აქ ხომ დაინახავენ.

— არა, არ დაინახავენ. ის ხალხი პარკის ბოლოშია ჯერ და აგრე მალე ვერც დაბრუნდება. დრო საკმაოდ ბევრი გვაქვს, ნუ გეშინიანთ, ვიდრე ისინი აქ მოვლენ და დაუწყებენ ძებნას, მანამ იგი უკვე შორს იქმნება აქედგან. მე ამას დარწმუნებული ვარ, მხოლოდ დაეჩქარეთ. მიეცით ჩემი წამოსასხამი, თუ ფული იყოს საჭირო, ფულიც. წადით, წადით მალე.

ქალს ხმა აღარ გაუცია, გაბრუნდა საჩქაროდ და აირბინა კიბეზედ. ჟავერენი, რაკი ცოლი გაიგულა, მიიჭრა მაშინვე კარებთან, რომელიც პარკში გადიოდა, გააღო და იქვე დარაჯად მდგარს ჟანდარმს უთხრა.

— გასწი ეხლავ და მინისტრისაგან გამოგზავნილს კაცს უთხარ, ეხლავ აქ მოვიდეს. კაცი, რომელსაც ის დაეძებს, აქ არის.

ამის შემდეგ დაბრუნდა ისევ დარბაზში. გახარებულს თვალებში ბოროტი ცეცხლი ულვიოდა და გაფითრებულს ტუჩებზედ გველური ღიმილი დასთამაშებდა. იდგა უძრავად და მოუთმენლად მოელოდა იმათს მოსვლას.

— აი, ჩვენც მოვედით, — მოესმა იმას მოულოდნელად კლარის ხმა, მიიხედა უკან და თავისსავე წამოსასხამში გახვეულს სენ-ფრემონს და კლარის შეეფეთა.

— აბა წამოყევით მალე, — აჩქარებით მიუბრუნდა ჟავერენი სენ-ფრემონს: პარკის გასავალ კარებამდის მიგაცილებთ და იქიდგან გზაზედ გაგიყვანთ, ჩემი ცოლი კი მანამ იმ ხალხს აქ შეიკავებს.

ის თითქმის მიათრევდა სენ-ფრემონს და ყურსაც არ უგდებდა მადლობას, რომელსაც ის უხდიდა. ისინი გავიდნენ გარეთ და ერიკურისაკენ გაემართნენ, მაგრამ სულ ათი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ, რომ მახლობელს ხეივნიდგან, თითქოს უცაბედათ, პოლიციის მინისტრისაგან გამოგზავნილი კაცი და სხვა ხალხი გამოჩნდნენ.

— გვიანღაა! — წასჩურჩულა ჟავერენმა სენ-ფრემონს. ისინი საჩქაროდ გამობრუნდნენ უკანვე და შეცვივდნენ დარბაზში.

პოლიციელები, რომელთაც ჟავერენი რაღასაც ანიშნებდა, მაშინვე უკან დაედევნენ. ამის მნახველმა კლარიმ შიშით შეჰკივლა. დარწმუნებული იყო, რომ ეს ქმრის კეთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხრეკის შესახებ პირველ აგვისტოს. ფელიქს ფორის გარდაცვალებისათანავე, ორლეანის ჰერცოგი, რომელიც პალერმოში იყო იმ დროს, ტურინში დაბრუნდა და იქიდგან ბრიუსელში. პოლიცია იმას თვალ-ყურს ადევნებდა განუწყვეტლად. ბრიუსელში დეპეშა მიუვიდა მას, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ „ჩვენი კაცები ყველანი მზად არიანო". მეორე დღეს მისული დეპეშა ატყობინებდა, რომ „უსარგებლო იქნება მოსვლაო". ტახტის მაძიებლის მომხრეების შეთქმულობა გაიგო საფრანგეთის მთავრობამ და ამის შესახებ აფრთხილებდა მას მისი აგენტი. ფელიქს ფორის დასაფლავების დღეს რა შემთხვევაც მოხდა რეილის ყაზარმებში, ყველამ იცის. მთავრობას მაშინვე კარგად სცოდნია, რომ ორლეანისტებთა შეთქმულობა არსებობდა, მაგრამ დროებით დაკმაყოფილდა დერულედისა და გაბერის სამართალში მიცემით, ხოლო რესპუბლიკის მტრებისათვის უფრო გაფაციცებით დაუწყია თვალ-ყურის დევნება. მთავრობამ უტყუარი საბუთები ჩაიგდო ხელში, რომ რენის პროცესის გამო ახალი შეთქმულობა მოახდინეს არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგო, და ამიტომ საჭირო ღონისძიებანი იხმარა.

გაზეთების სიტყვით, დერულედი დილის 4 საათზე იქმნა დატუსაღებული. $3^1/_2$ საათ. პარიჟიდგან ორი ლანდო მისულა და დერულედის სახლის მახლობლად გაჩერებულა. იმავე დროს პარიჟიდგანვე ხუთმეტი ცხენოსანი ჟანდარმი მისულა და გზაზედ გამწკრივებულან. პოლიციის ერთი კამისარი გადმოსულა ლანდოდგან, ჟანდარმები თან გაუყოლებია და იმ სახლისაკენ წასულა, რომელიც დაქირავებული ჰქონდათ დერულედს და მის დასს. კომისარს უბრძანებია ჟანდარმებისათვის სახლს გარს შემოერტყითო, და თითონ ზარი დაურეკია კარებთან. შეუხედნია-რა იმისათვის, დერულედს მაშინვე შეუძახნია: „თქვენ ჩემს დასაჭერად ხართ მოსულითო!" კომისარს სდომებია ეჩვენებინა მისთვის ბრძანების ქაღალდი მისი დატუსაღების შესახებ, მაგრამ დერულედს აღარ დაუცდია და ლანძღვა დაუწყია: „სამაგლობაა ჩემი გახვევა ორლეანისტების შეთქმულობაში,—ჩემი, რომელიც დიდი წინააღმდეგი ვარ ორლეანისტებისაო". შემდეგ მას კიდევ უთქვამს: „ჩემის დატუსაღებით თქვენ ატუსაღებთ ჯარის წარმომადგენელს უცხოელთა წინააღმდეგ, საერთო არჩევანების უფლების დამცველს და ერის მოსამსახურეს. თქვენ მებრალებით, რომ ასეთ მონდობილებას ასრულებთო". ამის შემდეგ დერულედს ტანთ ჩაუცვამს. პოლიციის კომისარს ლანდოში ჩაუსვამს დერულედი, გვერდით თითონ მოსჯდომია პოლიციის ორი საიდუმლო აგენტით და პარიჟში წაუყვანია. დატუსაღების დროს იქ სულ რამდენიმე კაცი ყოფილა, და ამიტომ ეს ამბავი თითქოს შეუმჩნევლად დარჩენილა. იმავე დღეს პოლიციას დაუჭერია პატრიოტთა ლიგის საბუთები და დაუტუსაღებია ხსენებულ ლიგის მებაირაღე—ყასაბი ბარილე. როიალისტთა დასიდგან დატუსაღებულ იქმნენ: ორლეანის ჰერცოგის წარმომადგენელი პარიჟში—ანდრე ბიუფე, შვილი ცნობილ მინისტრისა, რომელიც ნაპოლეონ მესამის და მაკ-მაჰონის დროს სცხოვრებდა, დე-შევილი, ჰერცოგის ქონებათა გამგე, გრაფი დე-საბრან-პონტევესი, დე-მონაკური, ორლეანის ჰერცოგის მდივანი და მაიარი, სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის უფროსის შვილი.

გერენის შესახებ ხომ ყოველ დღე საუცხოვო დეპეშები მოდის: ის კარჩაკეტილია თავისს სახლში და პოლიციის სიახლოვეს არ იკარებს; მთავრობა, თუმცა მისი დაჭერის შესახებ ბრძანება გასცა, მაგრამ სასტიკ ღონისძიებას არ ხმარობს მის წინააღმდეგ. ამნაირად ერთი სასაცილო ბრძოლა თამაშობაა ამ ჟამად პარიჟში: ერთის მხრით სდგას ძლიერი საფრანგეთის მთავრობა და მეორე მხრით—გერენი რამდენიმე ამხანაგით, და ერთი-მეორეს ემუქრებიან. ვინ იცის, იქნება გამარჯვება გერენს დარჩეს. ამის მსგავსი სასაცილო ამბავი ანტისემიტ ტიებოსთან მოუვიდა პარიჟის პოლიციას: როცა ეს უკანასკნელი მივიდა ტიებოს სახლში და პოლიციის კომისარმა კარები დაარახუნა, ტიებომ სთხოვა, რომ ცოტა მომითმინეთ, სანამ ტანთ ჩავიცვამდეო. კომისარმა თხოვნა შეუსრულა, მაგრამ სახლიდგან შემდეგ რომ აღარავინ გამოუძახა, მხლებლებს უბრძანა—კარები ჩალეწეთო. წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა ოთახში ტიებო აღარ დახვდა.

## დამაკვირდი

უძილადა და უცონელად წყრთითა სამარადისო სული შენი ადაყავე.

ეფრემ მცირე

***

კეთილნი მეგობარნი და მოყვარენი კეთილად შეიკრძალენ, ხოლო მტერნი მეგობარ ჰყვენ.

საეკლ. მუზ. № 153

***

მწყემსი ქადაგი მხოლოდ მქადაგებელია, თუ თვითვე არ არის სახე მისივე ნაქადაგებისა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მოგეხსენებათ, სპილოს ძვალი ძალიან ძვირფასი რამ არის. მონადირენი ძალიან ბევრს ფულს იღებენ სპილოს ძვლების ვაჭრობით და ბევრნი გამდიდრდნენ კიდეც. ამის გამო ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა სპილოებზეც ნადირობა. მთელი აფრიკა ამ მონადირეებით არის თურმე სავსე, რომელნიც ტყე-ტყე დადიან და დაეძებენ სპილოებს. ერთ ფრანგულ ჟურნალში გამოცდილი და ცნობილი მონადირე ედუარდ ფოა სწერს, რომ თუ საქმე ასე წავიდა, 30 წლის შემდეგ მთელს აფრიკაში აღარც ერთი სპილო აღარ იქნება, მონადირენი სულ ერთიან ამოსწყვეტავენო. ფოა ურჩევს, მომავალ პარიჟის გამოფენაზედ მოწვეულ იქმნას საერთაშორისო კონგრესი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზომები სპილოების დასაცველად ამოწყვეტისაგან.

***

ველოსიპედის ხმარება ამერიკაში უფრო ბევრად არის გავრცელებული, ვიდრე ევროპაში. თუ რამდენად ხმარებაშია იქ ველოსიპედი, სჩანს იქიდგან, რომ ყველა ეკკლესიასთან განსაკუთრებული ფარდულებია გამართული ველოსიპედებისათვის. თითქმის ყველანი იქ წირვასა და ლოცვაზედ ველოსიპედებით დადიან და ეს ფარდულები იმიტომ არის საჭირო, რომ ვიდრე წირვა ან ლოცვა გამოვა, მლოცველნი თავიანთ ველოსიპედებს იქ ინახავენ. ამერიკელ მღვდლებს ხომ ყველას აქვთ ველოსიპედი. საზიარებლად ან სხვა საქმისათვის მღვდლები უეჭველად ველოსიპედებით დაიარებიან.

***

თუ რამდენად უცნაური ხალხია ამერიკელები, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს. ცნობილი ამერიკელი მილიონერი ასტორი ამას წინად სამუდამოდ ინგლისში გადასახლდა. ეს ამბავი ამერიკელ პატრიოტებს ძალიან სწყენიათ, როგორ თუ ჩვენი უუმდიდრესი კაცი ევროპაში გადასახლდაო, და ასტორისათვის შემდეგი „სასჯელი" გამოუგონიათ: ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზედ გაუმართავთ სახჩობელა, ამ სახჩობელაზედ ჩამოუკიდნიათ საფრთხობელა, რომელიც ვითომ ასტორს წარმოადგენდა, და შემდეგ ცეცხლი წაუკიდებიათ. ამ „სასჯელს" აუარებელი ხალხი დასწრებია.

***

ამას წინად ჩიკაგოში მოხდა ამერიკელ მკურნალთა კონგრესი. ამ კონგრესზედ ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია იმან, თუ ამერიკელები ცხვირში რად ლაპარაკობენ. დღემდის ამის მიზეზად სთვლიდნენ ცხვირის სხვა-და-სხვა ავადმყოფობას, რომელიც ამერიკაში ძალიან არის თურმე გავრცელებული. ამ კონგრესზედ კი ერთი ექიმი, გვარად ფარლაუ, ამტკიცებდა, რომ ამერიკელების ცხვირი მთელ დედა-მიწის ზურგზედ საუკეთესო ცხვირია, ამიტომ იმას ბრალს ტყუილად სდებენო. ცხვირში ლაპარაკის მიზეზი თვით ცხვირის ნაკლულევანება კი არა, სხვა რამ არის, სახელდობრ ის, რომ ჩვენ, ამერიკელები, უცხო ქვეყნელებს ვბაძავთ და იმათსავით ცხვირში ვლაპარაკობთო. ფარლაუ ურჩევს ამერიკელებს ისე აღზარდონ შვილები, რომ უცხო ქვეყნელთ აღარ მიჰბაძონ და ცხვირში აღარ ილაპარაკონ. მეორე ექიმი ბლუა ამტკიცებდა, რომ ყველა ხალხს განსაკუთრებული თავისებური თვისება აქვს ლაპარაკისაო; ამერიკელების ეს განსაკუთრებული თვისება ცხვირში ლაპარაკით გამოიხატებაო. ამ კამათში ერთი ინგლისური სამკურნალო ჟურნალიც კი ჩაერია. ჟურნალში დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორიც ამტკიცებს, რომ ამერიკელების მიერ ცხვირში ლაპარაკის მიზეზი ანატომიური აგებულებაა თვით ამერიკულ ცხვირისა და არა მიბაძვა ან სხვა რამეო...

***

როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, იაპონელებს მოუგონიათ ახალი ხერხი სიკვდილით დასჯისა. ამ გვარად დასჯილი კაცი არავითარ ტკივილს არა გრძნობს თურმე და სახეც ისე არ ემანჭება, როგორც ჩამოხრჩობის ან ელექტრონით დასჯის დროს. ეს სიკვდილის დასჯა მდგომარეობს იმაში, რომ სასიკვდილოდ განმზადებულს კაცს ჰაერს უსპობენ. ამისათვის საპყრობილესთან გამართულია განსაკუთრებული ოთახი, რომელიც ისეა მოწყობილი, რომ ჰაერს არსაიდგან არ შეუძლიან შესვლა. ამ ოთახს ფანჯრებიცა აქვს, მაგრამ ამ ფანჯრის შუშებიც ისეა მოწყობილი, რომ ჰაერი ვერ შევა. ოთახში გაყვანილია ჰაერის ამოსაწრუტნი მილი, რომელიც გარეთ მანქანასთან არის შეერთებული. დასასჯელ კაცს, სრულიად გატიტვლებულს პირქვე აწვენენ, ხელებს უკრავენ, შემდეგ მანქანის შემწეობით ოთახს ერთის წუთის განმავლობაში ანთავისუფლებენ ჰაერისაგან და კაციც თვალის დახამხამებაზედ ესალმება წუთი სოფელს. ამ გვარად დასჯილის კაცის გვამს რომ დაჰხედოთ, ცოცხალი გეგონებათ, სახეზედ არავითარი ტანჯვა და წვალება არ ეტყობა თურმე.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 აგვისტო.

**კრასნოე სელო.** 7 აგვისტოს, მათის უდიდებულესობის თანადასწრებით, ალლუმები დასრულდა.

**რენნი.** „ჰავასის სააგენტო". სასამართლოს კრება დაიწყო 6 საათსა და 30 წუთს. ჩვენების ჩამოსართმევად კიუინიე გაიხმეს. კიუინიემა სთქვა, 1893 წელს, ჩემს შტაბში ყოფნის დროს, როდესაც დრეიფუსი შტაბს მიაწერეს, ეს უკანასკნელი მუდამ ახალს ცნობებს თხოულობდა რკინის გზებზედ სახმარებელ ნაღმების შესახებაო. დრეიფუსმა მრავალი ცნობა ჩაიწერა ქაღალდებში, მაგრამ ეს ქაღალდები სახლის გაჩხრეკის დროს ვერა ჰნახესო. კიუინიემა სთქვა, დარწმუნებული ვარ, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო. ეს რწმენა დამყარებულია დრეიფუსის გამოტეხასა, ბორდეროსა, საიდუმლო საბუთებსა, ბერტილიონის ჩვენებასა და იმ საშუალებებზედ, რომლებსაც დრეიფუსის ოჯახმა მიჰმართა დამნაშავის საქმის ხელ-ახლა განსახილველადაო. მარტო საიდუმლო dossier-ის საბუთის ქაღალდებიც-კი საკმაოა, სთქვა კიუინიემ, დრეიფუსის დანაშაულობის დასამტკიცებლად.—„ეგ სრული სიცრუეაო!"—წამოიძახა დრეიფუსმა. შემდეგ კიუინიემ ჩამოთვალა ის საბუთები, რომელთ ძალითაც დრეიფუსზედ ეჭვი მიიტანესო. იმ წერილის შესახებ, რომელიც შნეიდერმა უარ-ჰყო,—მე არ მეკუთვნისო, კიუინიე გაიძახოდა, რომ ეს წერილი ნამდვილად შნეიდერისაო. ეს მტკიცდება იმავე ატტაშეს

---

ლი სურვილი შეუბრალებელს შემოხვევას ჩაეფუშა. ან კი რა მოაფიქრებინებდა, თუ ქმარი ასე უსინიდისოდ, ასე შეუბრალებლად მოატყუებდა. ქალი სასოწარკვეთილებით გაექანა იმისკენ, მაგრამ ქმარმა, ერთის ხელის კვრით მოიშორა ის, მიუბრუნდა პოლიციის მინიტრისაგან გამოგზავნილს კაცს და მიუთითა სენ-ფრემონზედ.

— აი ის, რომელსაც თქვენ დაეძებთ!

მხოლოდ ეხლა მიხვდა კლარი ყველაფერს.

— უსინიდისო! საზიზღარო! მხოლოდ ეს-ღა მოახერხა იმან და ცერის სიმსხო ცრემლები გადმოჰყარა, მაგრამ ქმარს ყურიც არ უთხოვებია ამისათვის, მხოლოდ ერთი-კი შეხედა და გესლიანად წაიჩურჩულა.

— ხომ გამომიტყდით „მიყვარსო", ამითი წინ-და-წინვე გარდაუწყვიტეთ მაგას სასჯელი.

ამ დროს ჟანდარმები მისცვივდნენ სენ-ფრემონს.

— აგრე ადვილად არ დაგეჭერინებითო!—შესძახა მან, ერთი თვალის დახამხამებაზედ გადახტა უკან, კედელს მიენდო, გაიძრო რევოლვერი და დაუმიზნა, მაგრამ სწორედ ამ დროს ეცა ჟანდარმი, სწვდა ხელში და სენ ფრემონი იძულებული იყო დაეგდო იარაღი. უიარაღო რას უნდა გამხდარიყო ამდენს ხალხში, გაუკრეს უკან ხელები და ის იყო უნდა გაეყვანათ, რომ ჟავერენმა შეაჩერა.

— დარწმუნებული ვარ, მიუბრუნდა ის მინისტრისაგან გამოგზავნილ კაცს: შეატყობინებთ ყველაფერს პირველს კონსულს, შეატყობინებთ იმასაც, თუ რა რიგი დახმარება აღმოგიჩინეთ ამის დაჭერაში.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ყველაფერს შევატყობინებთ.

— ნუ დაგავიწყდებათ ისიც გააგებინოთ, განაგრძო ჟავერენმა, რომ თუ არ მე, მაგ კაცს ძნელად თუ თქვენ დაიჭერდით. მაგრამ უფრო კი ჩემის ცოლის დ ჭერილია ეგ, რადგან მეც მაგის საშუალებით ჩავიგდე ეგ ხელში—და თან გველურის ღიმილით გადახედა კლარის, რომელიც თითქმის გრძნობა მიხდილი სკამს დაჰყრდნობოდა, რომ არ წაქცეულიყო, და მწარედ ქვით-ქვითებდა.

კლარი გასწორდა წელში; ამ უსინიდისო ცილის წამებამ მთლად აალახლახა საბრალო ქალი, რომელმაც ველარ შესძლო და აუტანელის ტკივილისაგან მწარედ დაიკვნესა.

მაგრამ ჟავერენს ყურიც არ უთხოვებია იმისთვის და კვლავ განუმეორა:

— ამან იმისთვის მოგცათ ეგ ხელში, რომ ამით დაემტკიცებინა გენერალ ბონოპარტისათვის თავისი ერთგულება და თანაგრძნობა.

სენ-ფრემონი, რომელიც ამ დროს ოთახიდგან გამოდიოდა, მობრუნდა და ნაღვლიანად მიაჩერდა საბრალო კლარის. ამათი თვალები შეხვდა ერთს წუთს ერთმანეთს და კლარიმ ნათლად ამოიკითხა მის თვალებში მწარე, აუტანელი ყვედრება. ამას კი ველარ შეუძლო კლარიმ, დაიბარბაცდა თავში კეტ დარტყმულსავით, მაგრამ რის ყოფით შეიმაგრა თავი და რომ არ წაქცეულიყო, მიეყრდნო ისევ სკამს. სენ-ფრემონმა მწარედ ჩაიცინა, იმას სახეზედ აშკარად დაეტყო ზიზღი - სიძულილი. იმან ანიშნა ჟანდარმებს გაჰყოლოდნენ უკან. ის გაბრუნდა და ჟანდარმებიც ის იყო უნდა გასულიყვნენ, რომ ქალმა საშინელის ძალით დაიწივლა და ხელებ წინ გაწვდენილი გაჰქანდა. ისა სცდილობდა არ გაეშვა ალბერი; აეხსნა მისთვის, რომ ის მართალია, ცამდის მართალი. ის გამწარებით ქვითქვითებდა, ემუდარებოდა არა დაეჯერებინა-რა ჟავერენისათვის, გველსავით იხლაკნებოდა სიმწარით, მაგრამ ამაოდ. ალბერის მკაცრს სახეს ეტყობოდა, რომ იმაზედ აღარა ჰმოქმედებდა რა და ამისი აღარა სწამდარა.

ქალმა უცებ შესწყვიტა ტირილი, ის როგორღაც მოეშვა, მოიბუზა, თითქოს დაიღალაო ამდენის ბრძოლით. გული საშინელის ძალით აუდ დაუდიოდა, სახე საშინლად დაჰპრანჭვოდა და მეტის-მეტი მღელვარება სულსა სტაცებდა. ამღვრეული თვალები ქალმა უცებ ერთს ალაგს დააშტერა, სწორედ იმ ალაგს, სადაც ამ რამდენისამე წუთის წინად პატარა გაბრძოლების შემდეგ სენ-ფრემონს რევოლვერი გავარდნოდა ხელიდგან. სწორედ ამ მივიწყებულმა რევოლვერმა მიიპყრო კლარის ყურადღება. თითქოს მოჯადოებულს თვალი ველარ მოეშორებინა იმისთვის. მოულოდნელად გადახტა, დასტაცა იარაღს ხელი და გასწორდა წელში, მერე მიუბრუნდა ჟავერენს და მთლად აცახცახებულმა შეჰყვირა:

— მე შენი მომხრე არა ვარ და ამას დავამტკიცებ კიდეც!

მოისმა გრიალი და გულში ტყვია გავლებული ჟავერენი იატაკზედ გაიშხლართა.

გაიარა რამდენმამე დღემ და სამხედრო სასამართლოში გასამართლებული სენ ფრემონი პარიჟს ახლო გრენელის ხეობაში დახვრიტეს.

რაკ შეეხება კლარის, ჟავერენის ცოლს, ის თუმცა ერთს ხანს დააპატიმრეს ქმრის მოკვლისათვის, მაგრამ მალე ისევ განათავისუფლეს. პირველმა კონსულმა, რაკი შეიტყო ეს ამბავი დაწვრილებით, გარდასწყვიტა აღარ დაესაჯა ყმაწვილი ქალი და დანაშაული ეპატიებინა.

ა. წინამძღვრიშვილი.

სხვა საბუთის ქაღალდითა; თვით უარ-ყოფილი საბუთის ქაღალდი სამხედრო სამართლის სამხედრო სამინისტრომ წარუდგინა, ამიტომ უარის-ყოფა მიმართულია საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგაო. კიუინიემ შენიშნა, ატტაშე, რომელმაც თავისი წერილი უარ ჰყო, მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა მოკავშირეთა წინაშე, ამიტომ, შეიძლება, აიძულეს უარ-ეყო წერილიო (საშინელი მოძრაობაა). მთავრობის კომისარმა განაცხადა, რომ მთავრობის სახელით არ ვეთანხმები კიუინიეს ჩვენებასაო. დემანჟემა სთქვა აგრეთვე, რომ საბუთის ქაღალდი, რომელიც შნეიდერს შეეხება და რომელიც გენერალმა მერსიემ წარმოადგინა, მხოლოდ ნაწილია საბუთის ქაღალდისა, იქიდგან ამოღებულიო. დრეიფუსმა სთქვა, კიუინიეს ცნობებისათვის მხოლოდ ჩემის უფროსის ბრძანებით მივმართეო.

ბუადეფრი გამოიხმეს. ბუადეფრმა აღნუსხა საქმის ისტორია და განაცხადა, რომ ლებრენ-რენოს ნაამბობი მჯერაო. შემდეგ ილაპარაკა იმ გამოძიების შესახებ, რომელიც პიკარმა მოახდინა და რომელსაც ესტერგაზის ბრალდება მოჰყვა. მაშინ დარწმუნებული ვიყავი,— სთქვა ბუადეფრმა,— რომ დრეიფუსი დამნაშავეა და ეს რწმენა დღემდის არ შეცვლილაო (ხანგრძლივი მოძრაობაა). შემდეგ ილაპარაკა ანრის სიყალბის აღმოჩენის შესახებ, რომლის წყალობითაც მე სამსახურს თავი გავანებე და დაემოწმა მერსიეს ნაამბობს ელისეის სასახლეში მომხდარ ამბის შესახებ. დრეიფუსმა განაცხადა, რომ ბუადეფრის პასუხის საგებად არაფერი მაქვს სათქმელიო.

კრების განახლებისას გონზი გამოიხმეს. გონზმა სთქვა, ჩემს ყოფაქცევას დრეიფუსის საქმეში საფუძვლად ჯარის დაცვა ჰქონდაო. ესტერგაზი ბიუროში არასოდეს არა მსახურებდა და არასოდეს სანდგერს იმისთვის არავითარი საქმე არ მიუნდვიაო. შეუძლებელია, რომ ესტერგაზის ბორდერო შეედგინოს; ამისათვის საჭირო იყო ხელთა ჰქონოდა ბორდეროში ჩამოთვლილი საბუთის ქაღალდები, სახლის გაჩხრეკის დროსკი ვერც ერთი ქაღალდი ვერ იპოვნესო. ძალიან ვწუხვარო, სთქვა მერე გონზმა, რომ 1894 წელს საქმე ხალხის დიუსწრებლად იქმნა განხილულიო. გონზმა გაარჩია ის საბუთის ქაღალდები, რომლებიც პროცესისათვის იქმნა შეკრებილი და სთქვა, რომ დრეიფუსის სახელი საბუთის ქაღალდებში ბევრგან არის ნახსენები, ხოლო იმის შესახებ, რომ ის უდანაშაულოა, არაფერია ნათქვამიო. გონზ ა უარ-ჰყო პიკარის მიერ აღძრული ბრალდება; იგი აბრალებდა დიუ პატის, ვითომ იმასა და ესტერგაზის ერთად შეედგინოთ ბორდეროო. დრეიფუსის გამოტეხის შესახებ გონზმა იგივე სთქვა, რაც მერსიემ. მხოლოდ დაუმატა, რომ ლებრენ-რენომ, შეშინებულმა რესპუბლიკის პრეზიდენტის განკიცხვით, ვერ გაჰბედა გამოტეხაზედ ლაპარაკიო. ტყუილია პიკარის ნათქვამი, ვითომ მე ძალიან ავღელვდი 5 იანვარს მიუნსტერის მოქმედების გამოო. მიუნსტერის მოქმედების შესახებ მე მხოლოდ ექვს იანვარს საღამოთი გავიგე. მე პიკარის არავითარ მოქმედებას არ ვავიწროვებდი. კითხვაზედ, გონზმა მიუგო, პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ბორდეროში ჩამოთვლილი საბუთის ქაღალდები საზღვარ-გარეთ გედაეცეთ, არასოდეს არა ყოფილაო. გონზმა უარ-ჰყო ის ბრალდება ბერტილიუნისა, რომელიც მან ანრის დასდო; მაგრამ ამასთან გამოტყდა, როდესაც ანრიმ გადმომცა თავისს მიერ შეთხზული საბუთის ქაღალდი, მთხოვა ეს ქაღალდი პიკარისათვის არ მეჩვენებინაო. დემანჟი და მოწმე ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. გონზმა განაცხადა, ვურჩიე პიკარს, ნუ გამოედევნები მეთქი ბორდეროს ნაწერს, მხოლოდ გამოიკვლიე მსგავსება ამ წარწერისა და ესტერგაზის ხელს შორის. დრეიფუსმა განაცხადა, რომ პატიუხს ვუვებ პირდაპირ მეივანს, რომელმაც ბიუროში მნახაო. შეეკამათა რა გონზს, დრეიფუსმა სთქვა იმის ნათქვამის წინააღმდეგ, შეუძლებელია, რომ ოფიცერმა ვინმე სამინისტროში შეიყვანოსო. პიკარმა შემდეგ იმ ბრალდების წინააღმდეგ ილაპარაკა, ვითომ ბევრი ფული დაეხარჯოს ესტერგაზის თვალ-ყურის ჭერაზედ. პიკარსა და ბილიოს შორის ცხარე კამათი მოხდა. ბილიომ წარადგინა საბუთები და განმარტებანი ფულის დახარჯვის და განაწილების შესახებ მაშინ, როდესაც ის მინისტრად იყო. კრება დასრულდა. ყველანი უინციდენტოდ დაიშალნენ.

ლაბორი თან და თან უკეთა ხდება.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“. შაბროლის ქუჩაზედ მდგომარეობა არ შეცვლილა. სახლზედ დიდი თვალყური უჭირავთ, ქუჩა შაბროლი შეკრულია.

**ლონდონი.** სამხრეთ აფრიკაში საქმის ვითარება გამწვავდა. კაპშტადტიდგან ბულუვაიოში თავისუფალ მეომართა რაზმი წავიდა.

**პეტერბურგი.** „მთავრობის უწყება“-ში გამოქვეყნებულია, რომ ასტრახანის გუბერნიის, ცარევსკის მაზრის სოფ. კოლობოვკაში, ივლისის ნახევარში, გაჩნდა ავადმყოფობა, პნევმონიათ წოდებული, რომლისაგან 21 გარდაიცვალა. მიღებულ იქმნა ყოველ გვარი საჭირო ზომები ავადმყოფობის მოსასპობად.

**რენნი.** ლაბორი კარგად არის: ლოგინიდგან ადგა და მუშაობასაცკი შეუდგა. ექიმებს იმედი აქვთ, რომ ორშაბათს ან სამშაბათს სრულიად განიკურნება.

**მადრიდი.** ოპორტოდგან იუწყებიან, რომ 17 აგვისტოს აქ 2 კაცი გახდა ავად შავის ჭირითაო.

9 აგვისტო.

**კრასნოე სელო.** 8 აგვისტოს მათი უდიდებულესობანი დაესწრნენ წირვას სოფლის ეკკლესიაში. საუზმის შემდეგ საავადმყოფოში წაბრძანდნენ, სადაც ავადმყოფები დაათვალიერეს. ამ დღეს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე 150 ოფიცრამდე წარსდგა.

**პარიჟი.** მანიფესტანტთა ბრბო, რომელსაც მეთაურობდა სებასტიან ფორი, რესპუბლიკის მოედნიდგან Placedn Feoue-საკენ გაემართა. გზაში შეაჩერეს პოლიციელებმა, რომელთაც პოლიციის კომისარი გულლე უფროსობდა. შეტაკება მოხდა და ლევორვერები გაისროლეს. გულლე დანით ორგან დასჭრეს. მანიფესტანტებმა განაგრძეს სიარული, მაგრამ გზაში ხელ ახლა შეაჩერეს. ხელ ახლა მოხდა შეტაკება, პირველზედ უფრო ძლიერი. სამი პოლიციელი დაიჭრა. სებასტიანი ფორი დორროთი და სამის მეგობრით ცხენის რკინის გზის ვაგონში ჩაჯდა და რესპუბლიკის მოედნისაკენ წავიდა, მაგრამ მოედანზედ შეიპყრეს და კაზარმაში წაიყვანეს. ამავე დროს სხვა მანიფესტანტები რესპუბლიკის მოედანზედ დაბრუნდნენ და ეკკლესიის ფანჯრები ჩაამტვრიეს. Nation-ის მოედანზედ მანიფესტანტები გაჰფანტეს მაგრამ ისინი მაინც ორ ჯგუფად გაიყვნენ. პირველი ჯგუფი ცარიელ ქუჩისაკენ გაემართა, და მივიდა წმიდა იოსების ეკკლესიამდე. ბრბოს რამდენიმე მეთაური ამ ეკკლესიაში შევიდა და იქ ზოგიერთი სასულიერო სურათი შებღალა. შემდეგ გამოიტანეს სკამები ქუჩაში და ეკკლესიის წინ ცეცხლი წაუკიდეს. პოლიციამ გაიგო რა ეს ამბავი, ეკკლესიისკენ გაემართა და ბრბო გაჰფანტა. მანიფესტანტთა მეორე ჯგუფი dos Boulets-ის ქუჩისაკენ გაემართა. ეს ჯგუფი 200 კაცისაგან შესდგებოდა. თან წითელი დროშა მიჰქონდათ. წინ ამ ჯგუფს პოლიციის კომისარი და პოლიციის ინსპექტორი გადაეღობა, მაგრამ ბრბომ ორივესა სცემა, მიწაზედ დააგდო და შემდეგ ზედ გადაიარა ორივენი ძალიან მძიმედ არიან დაჭრილი. პოლიციელნი მიეშველნენ თავიანთ უფროსს. გაიმართა ზედახორა, რომლის დროს ოთხი პოლიციელი მსუბუქად დაიჭრა, მაგრამ მანიფესტანტები მაინც გაჰფანტეს. დაჭრილი ინსპექტორი საშიშ მდგომარეობაშია. 32 კაცი დააპატიმრეს.

**პარიჟი.** შაბროლის ქუჩა. მანიფესტანტებმა შუა-ღამემდე გასტანეს. დაჭრილია 50 კაცამდე, მათ შორის რამდენიმე პოლიციელი. მანიფესტანტებმა დამალვა მოიწადინეს რკინის გზის სადგურში, მაგრამ იქიდგან გამორეკეს. დააპატიმრეს 25 კაცი. მშვიდობიანობა ღამის პირველ საათზედ იქმნა აღდგენილი.

სუდანიდგან დეპეშით იუწყებიან რომ პოდპოლკოვნიკი კლოდი, გაგზავნილი იქ რაზმით უფროსად, მოკლულ იქმნა პორუჩიმ მენიესთან ერთად, რომელიც აგრეთვე კლოდთან იყოვო.

---

## ღია წერილი ქ. დუშეთის კორესპონდენტს.

თქვენ მოგიწერიათ გაზეთ „ივერიისათვის“ (№ 160), რომ ქალაქ დუშეთში გამართულ წარმოდგენას საქველ-მოქმედო მიზანი არ ჰქონდაო და ამიტომაც საზოგადოება ცოტა დაესწროო; წარმოდგენამ უხეიროდ ჩაიარაო და ვინც მოთამაშენი არიან, იმათ მონაწილეობა არ მიიღესო. უეჭველია თქვენ გაქვთ მხედველობაში ის წარმოდგენა, რომელიც იყო გამართული 26 ივლისს სკოლის შენობაში. თუ მაშინ თქვენ დუშეთში იყავით, უეჭველია უნდა გაგეგოთ, რომ შემოსავალი წარმოდგენისა დანიშნული იყო ნახევარი „წერა კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ და ნახევარი აქაური წიგნთ-საცავისათვის. ეს გამოცხადებული იყო აფიშაში, რომელიც სახლდასახლ დაატარეს წასაკითხავად, და რომელიც შემდეგ ჩამოკიდებული იყო სკოლის შენობაში. ისიც უნდა გაგეგოთ, რომ თეატრში იყო იმდენი ხალხი, რამდენიც დაეტეოდა (სულ 116 ქალი და კაცი). ბილეთები არამც თუ სულ გაიყიდა, არამედ სკამების მიდგმაც კი საჭირო შეიქნა, რამდენიც მოთავსდებოდა. გარდა ამისა ბევრი დაბრუნდა თეატრის კარებიდამ უადგილობის გამო.

წმინდა შემოსავალი იყო 75 მან და 86 კაპ. აქედამ 37 მანეთი გაუგზავნე ფოსტით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ საზოგადოების მდივანს გარიკაშვილს 28 ივლისს. დანარჩენი, გასაგზავნ ხარჯს გარდა, 38 მანეთი და 52 კაპეიკი ჩაწერილია დუშეთის წიგნთ-საცავის შემოსავალ გასავლის დავთარში, და ეს ფული მე მაბარია, როგორც მზრუნველს ამ წიგნთ-საცავისას. ანგარიში წარმოდგენის შემოსავლისა და დანახარჯისა წაკითხული აქვთ დუშეთის მაზრის უფროსს, ქალაქ დუშეთის მამასახლის და ყველას მათ, ვინც მონაწილეობა მიიღო წარმოდგენაში.

რაც შეეხება იმას, რომ წარმოდგენამ ცუდად ჩაიარაო და ზოგიერთმა, ვითომც დახელოვნებულმა მოთამაშემ, მონაწილეობა არ მიიღოო, ამას მე არ შევეხები; მხოლოდ ვიტყვი, რომ ჩემის აზრით, წარმოდგენა დასაწუნარი არ იყო და ვინც მონაწილეობა არ მიიღო, ეს მათი ნება იყო.

წარმოდგენას საქველ მოქმედო მიზანი არ ჰქონდაო და იმიტომაც საზოგადოება ცოტა დაესწროო,— ამბობს კორესპონდენტი. ყველამ იცის აქ, რომ თეატრი სავსე იყო და რა მიზანიც ჰქონდა წარმოდგენას. მაშ რას ნიშნავს თქვენი სიტყვები? განძრახული სიცრუეა ეს, თუ შეცდომილება? თუ ეს, მაშინ თქვენ გაჯავრებული ხართ და გინდათ გული იჯეროთ, შეცხეთ მარტო მას; გაზეთს რას ერჩით, რომ ტყუილ ამბავს აუწყებთ.

მაზრის ექიმი აველ იაშვილი

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვუძღვნით ელენე ვასაზისას მამულაიშვილის ასულს და მარო ვასაძისას შევარდნაძის ასულს, რომელთაც კეთილ ინებეს და ასკანის წიგნთსაცავს შემოსწირეს ოც და-ჩვიდმეტი სხვადასხვა ქართული წიგნი, სულ ათი მანეთისა.

გამგე ს. ჭეიშვილი.

---


# განცხადებანი

**ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 20-ს აგვისტოს მოხდება საჯარო ვაჭრობა-იჯარისა, რომლითაც მოიჯარადრემ ქალაქს უნდა მისცეს **12,000** ფუთი ნავთი ქუჩების გასანათებლად. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, შეუძლიან გაიცნოს პირობები გამგეობის კანცელარიაში ყოველ საქმის დღეს, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე.

(3—6.—3)

---

ჩვენ გამოცემული გვაქვს საუკეთესო

**პაპიროზის ქაღალდები**

ყაზბეგისა და მამია გურიელის სახეების ზედ გამოხატვით.

მათი ყალბი მიმსგავსება უკვე გამოვიდა.

**სიყალბეს ერიდეთ!**

სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“, ქუთაისი.

(10—7)

---

**საკომერციო კურსები**

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეოვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრიმოპის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის ბირდაპირ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—16)


Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Августа 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.